კლდე

№ 28

14 მკათათვე 1913 წ.

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ.,—5 მან. 6 თვ.—2 მ. 75 კ., 3 თვ.—1 მ. 50 კ., 1 თვ.—50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 5—7 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი: მორიგი საკითხი.—**რ.**—**გესი.** თბ. გუბ. გლეხთა საზ. ს.-სამ. თანხა.—**ალ ყიფშიძისა.** შოთა რუსთაველი.—**ს. ქვარიანისა.** ტრაღიკული ბედი.—**ეკალისა.** ორი მანდილოსანი.—**ოლ. ბეჟაგლაძისა.** ძეძვი.—**ნაცარასი.** გუთანი „ბრაბანდუბლი“.—**ი. გველესიანისა.** საკოოპერაციო კურსების გამო. **ს. კ—ისა.** სტატისტიკა ქართულ წიგნთა გამომცემლობისა.—**ß.** ახალი წიგნები.—⁂—**სა.** ბალკანეთის ამბები.—**მეომარისა.**

მორიგი საკითხი

რაც თავ.-აზნაურობის წარსულ კრებაზედ ითქვა საადგილ-მამულო კომისიის შესახებ, ნათლად ამტკიცებს, რომ თვით კრების დამსწრეთ წარმოდგენილი და განზომილი არა აქვთ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც უნდა მიეცეს ამ დაწესებულებას სწორედ ჩვენს დროში. წარმოთქმული სიტყვები, თუ კი მათ გულწრფელობაზედ ეჭვს არ შევიტანთ, მაჩვენებელნი არიან, რომ ნამდვილი აზრი, მიზანი ამ კომისიისა—ნაკლებადა აქვთ წარმოდგენილი და მის მისწრაფებათა დამაბრკოლებელ გარემოებათ თვით კომისიის შეცდომებათა სთვლიან.

ს.-მ. კომისია დაარსდა 1907 წელს იმ მიზნით, რომ მცირე მიწიან და უმიწაწყლო ადგილობრივ მცხოვრებთათვის შეენარჩუნებინა ის მიწა, რომელიც ჩქარის ტემპით გადადიოდა უცხოთა ხელში. როგორც ხედავთ, დანიშნულება სიმპატიური ჰქონდა და კრიტიკა ამ დაწესებულებისა მხოლოდ იმ მხრიდან შეიძლება, თუ რამდენად აღწევდა ამ დანიშნულებას ან გარემოებათა მიხედვით და ან შინაგან უნარით.

როგორც ხუთი წლის პრაქტიკამ გამოარკვია, მიწის სივიწროვე და მობილიზაცია არამცთუ არ მცირდება, პირიქით უფრო ინტენსიური ხდება და ადგილობრივი მოსახლენი უფრო და უფრო შევიწროებულ მდგომარეობაშივარდებიან; არამცთუ ეხლა, სამერმისოდაც იმედი ესპობათ როდისმე შეუერთდნენ თავის მაცხოვრებელს დედა-მიწას. მოსული სომხობა, ოსობა, რუსობა, აღძრული ბუნებრივის მისწრაფებით კარგი მიწისადმი, თუ პოლიტიკური მიმართულებით—ყველა სცდილობს ხელთ იგდოს ჩვენი სამშობლო მიწა-წყალი. ამ ტალღას, რომელიც გვასკდება ყველა მხრიდან ამოსაგდებად, ერის უდიდესმა ნაწილ - გლეხობამ, რომ შეგნებული გვყავდეს იგი, უნდა დაუპირდაპიროს მედგარი ბრძოლა არსებობისათვის და იმ ტერიტორიისათვის, რომელზედაც ათასწლობით ვცხოვრობდით და ვიხოცებოდით; მაგრამ, ცალკე შეუგნებლობა, ცალკე 1905 წელს აქეთ გამეფებული საერთო სიბრმავე, რომ „მიწა მაინც ჩვენ დაგვრჩებაო,“ საშინელ მდგომარეობასა ჰქმნის არა მარტო შეუგნებელ გლეხობისათვის, თვით შეგნებულ ადამიანისათვისაც, რადგან შეცვლა ამ ფსიხოლოგიისა მეტად ძნელი ხდება და ამ დროს კი უცხოელნი გულის გულს გვესახლებიან.

ასეთ მდგომარეობაში, არამცთუ ერთი თავ.-აზნაურული კომისია, არამედ ეროვნული კომიტეტები უნდა გვყვანდნენ გაფატულნი ყველგან პროვინციაში, რომელნიც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს მიწის მოძრაობას და ფულით, რჩევით, მოქმედებით თუ სხვა რამ საღსარით – სასურველ კალაპოტში აყენებდნენ. ამისთანა სისტემატიურ და ბადესავით მოფენილ ორგანიზაციისათვის მეტად დიდი თანხებია საჭირო, რისათვისაც ჩვენ ძალა არ შეგვწევს და ის მცირედი მაინც რაცა აქვს საადგილმამულო კომისიას, უნდა ხეირიანად გამოვიყენოთ.

საადგილ-მამულო კომისიის თანხები შესდგებოდნენ ყოველწლივ გადადებულ მცირე ნაწილისაგან საზოგადო თავ.-აზნაურთა ბიუჯეტიდან ⁄ მისი წარმოებაც ნორმალურ პირობებში შეფერხებული იყო დეპუტატთა საკრებულოს ზეგავლენით, რომელიც ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება, რასაკვირველია სპეციალურ თავ.-აზნაურულ ტენდენციებისაგან.

როდესაც შარშანდელ კრებაზედ უსაყვედურებდნენ საადგილ-მამულო კომისიას უმოქმედობას, ან ისეთ საქმეებზედ დახარჯვას ენერგიისა და ფულისას, რომელნიც არ შეადგენენ მის პირდაპირ დანიშნულებას, ისარი ამ საყვედურებისა ყოველთვის იქ ესობოდა, საცა საადგილ-მამულო კომისია თვითონ იყო მზად ეჩივლა სხვაზედ. სწორედ ამისთანა ნაკლის გასასწორებლად იყო, სხვათა შორის, განზრახული წრევანდელ კრებაზედ უარყოფილი რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის პროექტი სწორედ შეგუებული იყო ცხოვრების პირობებთან, გამოწვეული იყო თვით კომისიის პრაქტიკით. ის რთული ორგანიზაცია, რომელიც აფერხებდა საადგილ-მამულო კომისიის მოქმედებას, უკუგდებული იყო, ის ნაკლები, რომელნიც ბევრჯელ ძირშივე სპობდნენ ზოგიერთ საქმეს—განდევნილნი. იქმნებოდა ისეთი, თითქმის დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელიც თავისუფლად ემსახურებოდა დანიშნულ მიზანს და მხოლოდ სასტიკი კონტროლი ექმნებოდა იმ შემთხვევისათვის, თუ ასცდებოდა თავის გზას, ან მცონარეობას გამოიჩენდა.

კრებამ უარჰყო ეს პროექტი იმ მოსაზრებით, რომ ვითომ მის შემუშავებაში არ იღებდნენ მონაწილეობას ჩვენი საზოგადოების და დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ფაქტიურად ეს ასე არა ყოფილა, პირიქით, მთელი წლის განმავლობაში ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელნი იხილავდნენ და ამუშავებდნენ ამ პროექტს და თუნდა ესეც არა ყოფილიყო, თვით პროექტის განხილვა შეიძლებოდა კრებაზედ იმის დასარწმუნებლად, თუ რამდენად გამოსადეგი და მიზან-შეწონილი იყო იგი. ამ გზას კრება ასცდა და ისევ მოძველებულ გზას დაადგა: ამოირჩიეს ცალკე კომისია ამ პროექტის შესამუშავებლად. თითქმის ორი წელიწადია, რაც საადგილ-მამულო კომისიის ბედი გამოურკვეველია, მისი წევრები არ დაიარებიან სამუშაოდ, საქმე იგვიანებს და ყველა ეს იმ დროს, როცა ყოველ დღეს უარესი და უარესი ამბები მოაქვს მიწის გაყიდვასა და სხვათა ხელში გადასვლაზედ. ვინ იცის როდის შეიკრიბება კიდევ ახალი კომისია, როდის შეიმუშავებს ახალს პროექტს და როდის შეიძლება დაიწყოს ნაყოფიერი მუშაობა აქამდის მარწუხებში გაჩხირულმა კომისიამ.

ჩვენის აზრით, თავ.-აზნაურობა მოვალეა რაც შეიძლება მალე შეუდგეს ამ საქმეს, შეიმუშაოს პროექტი რეორგანიზაციისა და არა უგვიანეს ღვინობისთვისა შეკრიბოს საგანგებო კრება, რომელიც საბოლოოდ გადასწყვეტს ამ საკითხს. ის გამოურკვეველი მდგომარეობა, რომელშიაც ეხლა იმყოფება საადგილ-მამულო კომისია, თითქმის აბათილებს ყველა დაწყობილ საქმეს და უმიზეზოდ ჰფანტავს და ხარჯავს იმ ფულს, რომელიც მიდის ამ კომისიის შენახვაზედ. ეხლა, როდესაც ყოველი გროში ისე ფასობს ჩვენთვის, როცა ეკონომიკას ეროვნულ სიმდიდრის ხარჯვაში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა და იდეალურად უნდა იყვეს შეწონილი ხარჯთაღრიცხვა ნაყოფიერებასთან, ჩვენ უგულებელ ვყოფთ ისეთს მძიმე და სერიოზულ საკითხის გათვალისწინებას, როგორიც არის საკითხი ტერიტორიისა. ჩვენ უფლება არა გვაქვს ამ დიდ საკითხშიაც შევიტანოთ ჩვეულებრივი ჟინი კინკლაობისა და შენჩემიანობისა, უფლება არა გვაქვს ზერელად შევხედოთ ამ უაღრესი მნიშვნელობის მოვლენას და ადვილად მივაგდოთ მისი ბედი ღვთის ანაბარად.

ამ მხრივ ბევრი უნიადაგო და ფუქსავატი სიტყვა გაისმა სათავად-აზნაურო კრებაზედ და ნამეტნავად გაგვაკვირვეს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლებმა. მაგ. ბატონ ვ. რცხილაძემ, ქ. ს.—ს. საზოგადოების მდივანმა, ყოვლად უადგილო და დაუსაბუთებელი სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, რომ საადგილ-მამულო კომისიის ფუნქციების შესრულება სხვათაც შეუძლიანთ, როგორც ს. ს. საზოგადოებას, ს.-ს. კრედიტს და სხ. გარდა იმისა, რომ ეს მოკლებულია ფაქტიურს სიმართლეს, ვინაიდან საადგილ-მამულო კომისიის

ფუნქციებს (როგორც მაგალ. მიწის ყიდვაში შუამავლობა, თანხით დახმარება და სხ.) ვერავინ იკისრებს, თვით **წესდებათა** შეუფერებლობის გამო, არამცთუ მარტო მიზნის შეუფერებლობით,—ფაქტიურ სიმართლის გარდა, მოკლებულია აზრსაც, რადგან ვერც ს. ს. კრედიტს,ვერც ს. ს. საზოგადოებას თავისი პირდაპირი დანიშნულებაც ვერ შეუსრულებიათ წესიერად.

ის რჩევა, მაგ., ბ. ვ. რცხილაძისა, რომ ყველა სამეურნეო თანხა გადაეცეს ქ. ს. ს. საზოგადოებას, სხვა რომ არა იყოს რა, მეტად გაბედული ადამიანის ლაპარაკსა ჰგავს. ქ. ს. ს. საზოგადოება მეტად კარგ პირობებში დაიბადა, როცა მთელი ქართული საზოგადოება არამცთუ პლატონიური სიმპატიით და თანაგრძნობით ეკიდებოდა მას, არამედ მზად იყო შეგნებულად ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინა მისთვის. ეხლაც ეს საზოგადოება ყველა შეგნებული ადამიანის სიმპატიას იპყრობს, მაგრამ ჯერ იმდენად ნორჩია, იმდენად გაუმაგრებელი, რომ რიხიანად თქმა იმისა, რომ იგია პანაცეა ყველა ჩვენი უბედურებისაგან—ცოტა ნაადრევია. ჯერ არავინ იცნობს იმ შედეგებს, რომელნიც მოჰყვებიან ამ სიმპატიურ საზოგადოების მოქმედებას და ეხლავე თავის გამოდება—ცოტა აჩქარებულად უნდა ჩაითვალოს. ჯერ მარტო წრევანდელმა საზოგადო კრებამ ამ საზოგადოებისა დაამტკიცა, რამდენად მოუმზადებელია იგი დიდი საქმისათვის და კერძო პირების ხელში გადასვლა ჩვენი ერთად-ერთი სამეურნეო თანხისა—აზრსაა მოკლებული.

წარმოიდგინეთ წრეულ 12 კაცი იყო ასარჩევი საბჭოში და მგონი სულ ათი კაცი ვიყავით საზოგადო კრებაზედ. ესეც არ იყვეს, ამ საზოგადოების წევრობა ყველას შეუძლიან, ვინც სამ მანეთს შემოიტანს და, შესაძლებელია განა ასეთ საზოგადოებას, ვიდრე იგი უფრო მკვიდრ ნიადაგზედ არ დადგება და მკვიდრ საქმეებს არ მოეკიდება, არ დაანახვებს საზოგადოებას,—მიეცეს რაიმე დაკვეთილი თანხები?

ჭეშმარიტი სიმართლე იყო, როცა კრებაზედ წარმოითქვა აზრი, რომ ს. ს. საზოგადოება ეხლანდელ დროში უმთავრეს საშუალებას უნდა ელოდეს და იღებდეს თვით მთავრობისაგან, რომელიც უხვად აშველებს ხელს ამგვარ დაწესებულებათ, თუ უნარი გამოიჩინეს. ამის მაგალითები უკვე აქვს ქ. ს. ს. საზოგადოებას, რომლის მოქმედებას ყოველთვის დიდის ინტერესით ვადევნებთ თვალ-ყურს ჩვენც და მთელი საზოგადოებაც.

ბ. ვ. რცხილაძის სიტყვები იმის შესახებ, რომ ს.-მამულო კომისიაში სინეკურები არისო—სწორედ ამაგრებენ ამ მდგომარეობას, ვინაიდან კომისიას ახალის წესით და ენერგიით სურდა მოქმედება და ვ. რცხილაძეთა და სხვათა მეოხებით—ყველაფერი ისევ ისე და ძარეს მდგომარეობაშიაც დარჩა.

ჩვენ ვასრულებთ ამ წერილს სურვილით, რომ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ და საადგილმამულო კომისიამ შეთანხმებით იმოქმედონ საერთო მიზნის მისაღწევად, თორემ დავა იმაზედ, რომ ჩვენი საზოგადოება სჯობიაო, არც საკადრისია სერიოზულ მოღვაწეთათვის და საქმის ვითარებასაც მარტო ბურუსში ახვევს.

ამასთანავე, ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რაც შეიძლება მალე დადგეს დონეზედ ს.-მამულო კომისიას მოქმედება, რადგან გაუთავებელი აწეწილობა მის საქმეებსა და ორგანიზაციაში, სპობს ყოველგვარს უნარს მოქმედებისას და აგვიანებს მიზანის მიღწევას: რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება მალე მოგვარდეს მიწის მოქმედება ჩვენში.

რ. ბ.

ტფილისის გუბერნიის გლეხთა საზოგადოებათა სასოფლო-სამეურნეო თანხა

ეს მადლიანი თანხა დააარსა ტფილისის გუბერნატორად ნამყოფმა თ. გ. დ. შერვაშიძემ. მას აქედ აგერ ოცდა ორი წელიწადი მიდის, თანხა იზრდება და გაჭირვებულ სოფელს მადლსა ჰფენს.

სასოფლო-სამეურნეო თანხის მოხმარება შეიძლება მარტო იმ საგნისათვის, რისათვისაც დაარსებულია იგი, მაგალითად ტყისა და მამულის შესაძენად და სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად. სოფელს უფლება აქვს გამოიტანოს ხაზინიდან თვისი საკუთარი თანხა უსარგებლოდ, მოიხმაროს და შემდეგ ნელ-ნელა შეავსოს ისევ. ჩვენებურს ულონო და უფულო სოფელს მამულის ყიდვის დროს უებარ წამლად ევლინება ეს თანხა და როგორც ზემოდ ვიხილეთ, დიდს სიკეთეს უშვრება გლეხკაცობას. ეს თანხა რომ არ ჰქონოდა სოფელს, ბევრი მამული სამუდამოდ დაეკარგებოდა ჩვენებურს მიწის მუშაკს.

სამწუხარო აქ ერთი რამაა. თ. შერვაშიძის დროს სამეურნეო თანხა სწრაფად იზრდებოდა, ხოლო მის შემდეგ ადგილობრივი ადმინისტრაცია ბეჯითად ვერ ადევნებს თვალ-ყურს და საარაკო ზრდა თანხისა შეფერხდა. მაინც ამ ოცს წელიწადს ორ მილიონ მანათს გადააჭარბა და ამოდენა ფული გლეხ-კაცობის ხელში ხუმრობა საქმე ხომ არ არის. პირადად, კერძოდ ჩვენი გლეხი ღარიბია, უნიათო, მაგრამ საერთოდ დიდის დოვლათის პატრონია, სწორედ ისევე, როგორც ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა.

სანეტარო და სასურველი მხოლოდ ისაა, რომ გონივრულად მოიხმაროს ეს უშველებელი დოვლათი ჩვენმა გლეხკაცობამ. გონიერი მუშაკი, ქვეყნის მოყვარული, გონება განათლებული კაცი გაურბის სოფელს და რა ჰქნას უმწეო სოფელმა, როგორ გაუძღვეს დიდს თანხას, თუ გვერდში არ ეყოლება ნასწავლი მეგობარი, სოფლის ჭირ-ვარამით დამწვარ-დადაგული? აი, ჩვენს აოხრებულს და გატიალებულს სოფელს მალე რომ აღირსონ ერობა, მაშინ სულ სხვა იქნება. იგი, სხვათა შორის, მამობრივის მზრუნველობით ყურადღებას მიაპყრობს ამ თანხასაც და ერთი ათად მეტს მადლს გამოაღებინებს, ვიდრე დღეს იღებს.

1912 წელს პირველ იანვარს ჯავახეთს (ახალ ქალაქის მაზრა) ჰქონდა ფულად 204.183 მან.; სარგებლიან ქაღალდებით 323.200 მ., ნასესხი ამ თანხიდან 14.067 მან. 79 კაპ. ეს თანხა საკუთრებაა 110 სოფლისა, სადაც ითვლება 6134 მოხარჯე, ესე იგი ამ თანხის მონაწილე. სასოფლო თანხის სიდიდით ჯავახეთს პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს სხვა კუთხეთა შორის.

მესხეთს (ახალციხის მაზრა) აქვს: ნაღდ ფულად 24.570 მ., სარგებლიან ქაღალდებად 103.611 მ. 72 კაპ., ნასესხები ამ თანხიდან 5.166 მ. 50. კ. მონაწილეა თანხისა 190 სოფელი და 20.649 მოხარჯე.

ქართლსა აქვს: ა) გორის მაზრა: ფულად 205. 856 მან. 51 კაპ., სარგებლიან ქაღალდებით 83. 700 მ., გორის მაზრელებს უსესხნიათ ამ თანხიდან 35.855 მან. 82 კ. მონაწილეა თანხისა 295 სოფელი და 37.794 მოხარჯე; ბ) დუშეთის მაზრა: ნაღდ ფულად 100,165 მ. 24 კაპ., სარგებლიან ქაღალდებით 200 მ., უსესხნიათ 15.772 მან. 57 კ. მონაწილეა თანხისა 267 სოფელი და 6873 მოხარჯე; გ) ტფილისის მაზრა: ნაღდ ფულად 50.432 მან. 54კ., სარგებლიან ქაღალდებით 50.000 მ. და ხორბალი 2897½ ფ. უსესხნიათ 95.879 მან. 90 კაპ. მონაწილეა თანხისა 118 სოფელი და 20,766 მოხარჯე.კახეთს:ა)ქიზიყი—სიღნაღის მაზრა: ფულად 80.757 მ. 79 კაპ., სარგებლიან ქაღალდებით 219.000 მ., ხორბალი 4771 ფუთი და 10 გირვანქა. ნასესხია—52.328 მან 13 კ. მონაწილეა თანხისა 54 სოფელი და 33.963 მოხარჯე; ბ) თელავის მაზრა: ნაღდ ფულად 38.158 მ. 95 კაპ., სარგებლიან ქ ღალდებით 47.700 მ სესხი 48.573 მან. 31 კ. მონაწილეა თანხისა 52 სოფელი და 20831 მოხარჯე; გ) თიანეთი: ნაღდ ფულად 19. 609 მან., სარგებლიან ქაღალდებით 33.200 მან. ნასესხი 8530 მან. 85 კაპ. მონაწილეა თანხისა 106 სოფელი და 5302 მოხარჯე.

ბორჩალოს აქვს: ნაღდ ფულად 255.242 მან. 69 კაპ. სარგებლიან ქაღალდებით 138.600 მ. უსესხნიათ ამ ფულიდან 64.763 მან. 08 კ. მონაწილეა თანხისა 268 სოფელი და 14.960 მოხარჯე.

სულ ტფილისის გუბერნიის გლეხ-კაცობას ჰქონდა 1912 წლის პირველ იანვარს ნაღდ ფულად 968.976 მ. 18 კაპ. და სარგებლიან ქაღალდებით 999.211 მ. 72 კაპ., ხორბალი 7668¾ ფუთი; სესხად აღებულია 340.937 მ. 95 კაპ. ფულად და ხორბალი 1,243 ფუთი; მაშასადამე ნაღდ ფულად და სარგებლიან ქაღალდებით ორი მილიონი სამას ცხრამეტი ათასი ას ოთხმოცდა თხუთმეტი მან. და 85 კ. (2.319.195 მ. 85 კ.) და ხორბლად 8911 ფუთი. მარტო სარგებელი ორ მილიონ მანათისა 4% კვალობაზე წელიწადში დაიჭერს რვა ათას თუმანს (80.000 მ.). ეს თანხა ეკუთვნის 1454 სოფელს, სადაც ითვლება ამ თანხის შემადგენელი 197.272 სული.

აქ მოყვანილი ცხრილი თანხის რაოდენობისა სხვა და სხვა მაზრებში ნათლად გვაჩვენებს, რომ პირველი ადგილი უჭირავს ჯავახეთს, სადაც თითქმის სამი მესამედი მკვიდრ სა სომხობაა. მეორე ადგილი ეკუთვნის ბორჩალოს; ქართველობა ამ მაზრაში (საბარათიანო, სომხითი და თრიალეთი) ძალიან ცოტაა. უმთავრესად ბინადრობენ თათრები და სომხები. სჩანს, არ ეხერხება ქართველს მომჭირნეობა. თათარი და სომეხი უფრო შემნახველი და დამზოგველი გამოდის, ვიდრე ქართველი. ამ მხრივ ქართლელსა და კახელს წინ გაუსწრო ქიზიყელმა. სიღნაღის მაზრის თანხა რაოდენობით მხოლოდ ჯავახეთისას და ბორჩალოსას ჩამოუვარდება. იმავე ტემპით რომ ეგროვებინა თანხა გორის მაზრას, რა ტემპითაც ჯავახეთი მუშაობდა, დღეს მილიონზე

მეტი ფული ექნებოდა და აბა მაშინ მის ბედს ძალ ლიც ვერ დაჰყეფდა.

მთელს იმპერიაში ჩვენი გუბერნიისთანა თანხა არც ერთს გუბერნიას არა აქვს.

ა. ყიფშიძე

შოთა რუსთაველი

„შენ ნიშნად უკვდავებისა
ერს მოვლენიხარ განგებით,
ვით ცისარტყელა წარღვნისა,
უცნაურისა ჰანგებით“...

— ნეტა რომელმა ქართველმა არ იცის თუ ვინ არის დიდებული შოთა! ვინ არ იცნობს მის უკვდავ „ვეფხვის ტყაოსანს“! მისი დიდებული სენტენციები დღეს ანდაზებადაა მოფენილი ჩვენს ხალხში. მიყრუებულ სოფლებში ზეპირად გეტყვიან ამ პოემის საუკეთესო ადგილებს ისეთი პირები, რომელთაც, ხშირად წერა-კითხვაც კი არ იციან. ამ რიგად ეს ქართველი გენიის ნაწარმოები ჩასწვდენია ერის გულის სიღრმეს და გადაქცეულა **ზეპირ თქმულებად.**

— მსოფლიო ისტორიაში ჩვენ ვიცით მხოლოდ სამი მაგალითი; მხოლოდ სამი გენიოს მწერლის უზენაესი ნაწარმოები ჩასწვდა ერს გულის სიღრმეში. ასეთია — ჰომიროსის **„ილიადა“**, ფირდუსის **„შაჰ-ნამე“** და შოთას **„ვეფხვის ტყაოსანი“.**

აი სამი დიადი პოემა! აი უძვირფასესი ბრილიანტი ზენაარ პოეზიისა! აი სამი უდიადესი მგოსანი, რომელიც წარმოშვა სამმა ეროვნებამ თავის სულის უზენაეს აღფრთოვანების დროს! სამივე მგოსანი ეკუთვნის მთელ კაცობრიობას და მათი პოემები უკვე თარგმნილია ევროპიულ და აზიურ ენებზე.

ბევრი შავი დღე განვლო ქართველმა ერმა თავის ტრაგიზმით სავსე ისტორიაში. ბევრი საშინელი ტანჯვა განიცადა თავის ხუთი ათასის წლის არსებობაში. ათასი წლობით ის მიკრულია კავკასიონის ქედზე, ვით ამირან გმირი, და ახვევია მას საფლეთად ყვავ-ყორნები... საუკუნეთა სრბოლაში მის ფოლად გულზე ეხეთქებოდა აზიის ბარბაროსთა მძლავრი ტალღები, მაგრამ ეს პატარა ერი, ქართველი, იყო მარადის მყარი და ურყევი, ვით პიტალო კლდე ზღვაში ჩამდგარი... საქართველოს მეზობლად, ქართველი ერის თვალ წინ დაიმსხვრნენ და გაჰქრნენ მთელი უზარმაზარი იმპერიები და სამეფონი, დაემხო დიდი ეგვიპტე, ასურ-ბაბილონი, ფინიკია, კართაგენი, ელადა, პალესტინა, დიდი რომი, არაბთა იმპერია, ბრწყინვალე ბიზანტია და მონგოლთა ძლიერი ურდო,—ეს მსხვერპლნი ისტორიული გრიგალისა; საქართველო კი ისევ ცოცხალია, ვით ობოლი ვაზი და ელის ბრწყინვალე მომავალს.

ამ პატარა ერს თავის წარსულში ჰქონდა მზიანი დღეებიც. არაბთა ბატონობის შემდეგ, მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს მან მოახერხა სრული გაერთიანება, რასაც მოჰყვა ერის ეკონომიურ-პოლიტიკური და კულტურულ-სოციალური აღორძინება. დიდმა დავითმა, რკინის პალოთი საზღვარზე მდგარმა, გასჭედა ერის დიდება; მშვენიერმა თამარმა კი თავის სიბრძნით იგი უმაღლეს წერტილზე აიყვანა. მეთორმეტე საუკუნეში მთელი დასავლეთი აზია დაემორჩილა საქართველოს გეგემონიას. დიდი სპარსეთი, მცირე იზიის სულთნები და განათლებული ბიზანტია ქედს იხრიდნენ ქართველი ერის წინაშე.

აღფრთოვანდა თავისუფალი ერი, გაშალა ფრთა და გაინავარდა ერის სულმა პოეზიის სფეროში. აყვავდა ქართული ენა, ხელოვნება, პოეზია და ფილოსოფია. და აი ამ მძლავრ სულიერ აფოფინების დროს ერის გენიამ წარმოშვა დიდებული გენიოსი,—ეს იყო **სულმნათი შოთა.** იგი გვირგვინია ქართული პოეზიის, ის უუძვირფასესი მარგალიტია ერის სულის უზენაეს აღფრთოვანების ციალის დროს შექმნილი.

ჩაესვენა მეცამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოს თავისუფლების და დიდების მზე, დადგა ტანჯვისა და სიბნელის გრძელი საუკუნე. გაჩნდნენ საშუალო აზიაში ახალი ბარბაროსნი, რომელთაც დაამსხვრიეს საქართველოს სამეფოს ერთობა. ჯელალედინი, ლანგთემური, შაჰ-აბაზი, ალამაჰმად-ხანი, აი ის ულმობელი მტარვალნი, რომელთაც მიიყვანეს საქართველო მეთვრამეტე საუკუნის დამლევს საშინელ მარცხამდე!

კვნესდა ქართველი ერი ექვსი საუკუნის განმავლობაში და ამ ექვს საკუნ. მისი გამამხნევებელი იყო ორი რამ: **წმინდა ნინოს ჯვარი და შოთას „ვეფხვის ტყაოსანი“**, პირველი — სიმბოლო სარწმუნოებისა, მეორე კი სიმბოლო ეროვნებისა: და თუ მოხდა სასწაული, თუ საქართველომ ამ საშინელ პირობებში შეინარჩუნა ქრისტეს რჯული და ეროვნული სული, ამის უმთავრესი მიზეზია ორი დიდებული ადამიანი: **წმინდა ნინო** და **შოთა რუსთა-**

ველი... ქარველი ერი ქალიან-კაციანად ეწაფოდა სასოწარკვეთილების დროს შოთას უკვდავ პოემას და ჰკრეფდა მასში სულის ძლიერების მუფარახს. ეს წიგნი შეიქმნა ქართველისთვის ნამდვილ თილისმად, რომელიც აქარწყლებდა გარეშე ძალებს, ასწავლიდა ერს ზღაპრულ გმირობას და ნამდვილ სასწაულებს. ამ დაქსაქსვის, ამ ეროვნულ უბედურობის დროს, ქართლელი და კახელი, იმერი და მეგრელი, სვანი და აფხაზი, თუში და ინგილო, მესხი და გურული ერთრიგად გრძნობდნენ, რომ ყველა ისინი ეკუთვნიან ერთ ოჯახს, ოდესღაც ძლიერს, დღეს კი დიცემულს. მათ აერთებდათ ენა, სარწმუნოება და „ვეფხვის ტყაოსანი". ამ დიდებულ პოემას შეძლებული თავად-აზნაურნი და ღარიბი გლეხნიც მზითვადაც კი ატანდნენ თავიანთ ქალებს. მას იზეპირებდა დიდი და პატარა. სახარებასთან ერთად ეს იყო განუშორებელი წიგნი ძველი ქართველისათვის. ასეთი იყო ამ დიადი პოემის მომხიბლავი ძალა.

— აჰა, შვიდასი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველად აჟღერდა შოთას უკვდავი ქნარი, რაც პირველად ააქვითინა მან სიმები თავის ბედშავ გმირ ტარიელზე.

რით უნდა ვიდღესწაულოთ ეს დიდებული დღე, რით უნდა აღვნიშნოთ იგი?

1) უნდა მოეწყოს საქართველოს დაბა-ქალაქებში **სალიტერატურო დილა-საღამოები შოთას სახელისა**, რისთვისაც უნდა აღინიშნოს შესაფერი დღე.

2) უნდა გაიმართოს ყველგან **ლექციები** და შემოსულ ფულიდან უნდა შესდგეს **რუსთაველის ფონდი.**

3) უნდა დაუდგათ დიდ მგოსანს **დიდებული ძეგლი**, ერთი **თბილისში**, მეორე **ქუთაისში**, და მესამე **მესხეთში**, სოფელ **რუსთავში**, სადაც დაიბადა შოთა.

4) ყოველივე ამის განსახორციელებლად უნდა დაარსდეს **სამი კომიტეტი**, ერთი თბილისში, მეორე ქუთაისში და მესამე მესხეთში, აგრეთვე მათი განყოფილებანი სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში.

5) საჭიროა ამ ეროვნულ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ყველა ჩვენმა **კულტურულმა დაწესებულებამ** და სრულიად **ქართველმა ერმა.**

6) საუკეთესო ლექციები, სიტყვები და ლექსები შოთას შესახებ უნდა მოთავსდეს **ერთ დიდ წიგნში**, რომლის შემოსავალი უნდა გადაეცეს შოთა რუსთაველის ფონდს.

7) საჭიროა გამოიცეს **მხატვრული ალბომი**, რომელშიაც დასურათებული უნდა იყოს **ოქროს საუკუნე**, იმ დროის ისტორიული პირები, ხელოვნების ნაშთები და სხ. ამ ალბომის შემოსავალიც გადაეცემა შოთას ფონდს.

ამ მცირე წერილით მოუწოდებ სრულიად **ქართველ ერს**. დრო არის, ბატონებო, შესაფერად დავაფასოთ ის ღვთაებრივი ქართველი, რომელმაც მოგვცა უკვდავი „ვეფხვის ტყაოსანი"! დრო არის შესაფერი ძეგლი ავუგოთ იმ დიდებულ სულმნათს, რომლის გენიის წინაშე ქედს იხრის განათლებული კაცობრიობა!

სიმონ ქვარიანი.

ტრაღიკული ბედი

სომხის ერთ გამომცემელ საზოგადოების წარმომადგენლებმა ამ დღეებში დაათვალიერეს ი. ჭავჭავაძის სახლი ანდრეევის ქუჩაზედ, ძალიან მოეწონათ და მისი ყიდვა დააპირეს.

უკანასკნელი ამბავი

მე მინახავს ვარშავაში მიცკევიჩის ძეგლი. უბრალოა, მაგრამ მორთული საუცხოოდ ძვირფასი და ნაზი ყვავილებით, მშვენიერ სანახავს წარმოადგენს.

და თქვენა გრძნობთ, რომ ამ უბრალო მშვენიერებაში დაფარულია პოლონელების ღრმა სიყვარული თავის დიდებულ მგოსნისადმი.

ვნახე მისი სახლიც, სადაც მგოსანი სცხოვრობდა, სწერდა და დიდების გვირგვინს უწნავდა პოლონეთის ერს. ვნახე და გავოცდი.

რა სიყვარულით, ზრუნვით და ყურადღებითაა მოვლილი მგოსნის ყოფილი ბუდე.

მოსიყვარულე ხელი ამაყი და თავმოყვარე პოლონელისა ყველგან ეტყობოდა.

დაწყობილი კრიალა შესავლიდამ, შესანიშნავ სისუფთავით შენახულ ოთახებიდან, მგოსნის პაწია უმნიშვნელო ნივთამდის ბუხრის თავზედ.

აქაც გამოსჭვივოდა შეგნებული უზომო მადლობა პოლონელებისა თავის დიდებულ კაცისადმი.

— —

ვნახე საგურამოს ველზედ ის ადგილი, სადაც ტანჯული სული დალია ვერაგულად მოკლულმა დიდებულმა ქართველმა მგოსანმა ი. ჭავჭავაძემ.

შავი, დამპალი ხის ჯვარი...

გარშემო მიყრილ-მოყრილი ქვები...

დამჭკნარი, გაყვითლებული ბალახი...

ვნახე მგოსნის სახლიც.

კედელზედ, პაწია მარმარილოს ფიცარზედ წარწერაა: „აქ სცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე."

შევედი შიგნით..

დაცარიელებული ოთახები გაჟღენთილი იყო ნესტის სუნით.

არსად არც ერთი ნიშანი, რომ აქ ოდესღაც საქართველოსთვის ძვირფასი კაცი სცხოვრობდა, მასზედ ფიქრობდა, იტანჯებოდა...

„სახლი გასაცემადაა მომზადებული", მითხრა მეეზოვემ.

—„იქნება გასაყიდათ, დავეკითხე მე. „არა, ჯერ გასაცემად"—მიპასუხა მეეზოვემ.

———

დღეს გასაყიდათაა მომზადებული!..

და მყიდველებიც გამოჩნდნენ.

ეს, „ქვათა ღაღადის" გმირები არიან; ამ უკანასკნელთ მეტად უყვართ შენობები ქართული წარწერებით.

მეტადრე როცა ასე ადვილია ქართული ასოების გადაკეთება სომხურზედ.

მაგალითად,

„აქ სცხოვრობდა ილია ჭავჭავაძეს" მაგივრად წააწერენ:

„აქ სცხოვრობდა ჰორიზონის რედაქტორი".

ისე, როგორც ადვილი იყო ავაზაკებისთვის დიდებულ ქართველ მგოსნის მოკვლა; ისე, როგორც ადვილი იყო ჩვენთვის ძვირფას კაცისთვის დამპალ ჯვარის აგება, ისე, როგორც ადვილია ჩვენთვის მგოსნის მიერ დაობლებულ და ერისთვის დატოვებულ განძის გაყიდვა საქართველოს დედა ქალაქში.

მათთვის ადვილია, რადგან ჩვენთვისაც გაყიდვა ყველაფრისა მეტად ადვილია.. რაზედღა იღაღადებენ ქვები ქართველი მგოსნის სახლისა?.

რაზედღა იღაღადებს ეხლა ის მარმარილოს ქვა, რომელზედაც ამოჭრილია დიდ მნიშვნელოვანი სიტყვები:

„აქ სცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე"...

ეხლა იღაღადებს იმ ტრაღიკულ ბედზედ, რომელიც ეწვია ქართველი მგოსნის სახელსა.

ეხლა იღაღადებს მარტო ჩვენ დიდ დანაშაულზედ დიდებულ მამულიშვილის ხსოვნის და ქართულ ეროვნულ იდეალების და გრძნობების წინაშე.

ეკალი.

ორი მანდილოსანი

(მოთხრობა ჰანრი დე-ბორნესი)

— მითხარი, ლუსიენ, როგორა სცხოვრობთ? ჰკითხა პატარა ჟერმენმა, თავის ბიძაშვილს, ახალგაზრდა ნიჭიერს ხელოვანს,—მე მსურს დაწვრილებით ვიცოდე შენი ცხოვრება.

— თქვენზედა ვფიქრობ, ჩემო ჟერმენ! თქვენს სილამაზეზედ, თქვენს მშვენიერ მოხდენილს მოხარხარე ტანზედ, თქვენს მშვენიერს, ოქროს ფერ თმაზედ და იმდენადვე სასიამოვნო, მოელვარე თვალებზედ, ჩემო ტურფავ!

— საქმე ჩემს თვალებსა, ტანსა და თმაში არ არის. თქვენ მეტს პოეზიას ხარჯავთ, ბატონო ლუსიენ, ხელოვნურად არტისტობთ... უკეთესია გამომიტყდეთ გისადილნია თუ არა?

— ვისადილე, მაგრამ ფიქრით კი შენთან ვიყავი, ჩემო ჟერმენ! არა გამეგებოდა რა, რასა ვჭამდი. და ან კი რა სადილის მცხელოდა!

— სცდებით, ჩემო მეგობარო! ძალიან ცოტას ზრუნავთ თქვენთვის. საბედნიეროდ, მე ამის შემდეგ თქვენთან ვიქნები, და როგორც კი დავქორწილდებით..

— რვა დღის შემდეგ მარტო, გააწყვეტინა ახალგაზრდა კაცმა—რა გვიანაა!

— თქვენი კუჭისთვის!?

სიცილით შენიშნა ჟერმენმა.

ლუსიენ გარნიე ჯერ ისევ პატარა იყო, როდესაც რომში გაგზავნეს ფრანგების სასწავლებელში. ლუსიენი რომიდგან დაბრუნდა აღზრდილი, განვითარებული და თავის ნათესავ ქალბატონს დელვილსაან დაბინავდა.

დელვილმა გააცნო თავისი ერთად-ერთი ქალი ჟერმენ, რომელმაც ამ მოკლე ხანში დაასრულა სწავლა მონასტერში.

ჟერმენას სილამაზემ მაშინათვე დაიმონავა ლუსიენი. ლუსიენს იგი შეუყვარდა. ეს სიყვარული, სიყვარული იყო არტისტისა, კეთილ-შობილური და თავისუფალი ყველა იმისაგან, რაც სიყვარულს ნამდვილს ღირსებას უკარგავს, მაგრამ იქამდის სუსტი, რომ მას არ შეეძლო სამუდამო ბედნიერების მინიჭება. ლუსიენი საკმაოდ ვერ აფასებდა თავის საყვარელ არსების სულიერ ღირსებას.

დაინიშნენ შეყვარებულნი.

ქალბატონი დელვილი სიხარულით დასთანხმდა გამოჩენილი არტისტის სიძეობას, მაგრამ საქმის გადაწყვეტა თავის ქალს მიანდო.

როდესაც ლუსიენი მივიდა ჟერმენთან და თა

სურვილი განუცხადა, პასუხად შემდეგი მიიღო: „ვიფიქრებთ“.

დიახ, უნდა ეფიქრნა, ჟერმენს. იგი მიხვდა, რომ ლუსიენმა მხოლოდ მისი გარეგნული სილამაზე შეიყვარა და მისი სხვა თვისებანი-კი ვერ დაათვალა, ჟერმენმა ეს შეურაცხოფად მიიღო.

ნუთუ როდისმე, ლუსიენი სხვასაც შეიყვარებს მარტო მის სილამაზისათვის... ის ისე უგუნურად დაემონება და დაუფიქრებლად მიეცემა პირველს გულის თქმას. არ შეისწავლის მის ხასიათს, მის გრძნობებს, მის ჩვეულებებს, როგორც ამ ჟამად, მაშინ რომელიმე უგულო და სულელის დედაკაცის მორჩილი შეიქმნება და ხომ დაიღუპა.

ყარის თქმა სიკვდილი იქმნება იმისთვის. მერე მოვკლა ის, ვინც მიყვარს?.. არ ვიცი, რომ არ მიყვარდეს, როგორ მოვიქცევოდი; მაგრამ მიყვარს? მართალია, ლუსიენმა შეურაცხმყო:

ჩემი ღირსება კი არ უყვარს მას, მხოლოდ ჩემი სილამაზე მოსწონს, მაგრამ რა უყო! ის შემდეგ დამაფასებს და შემიყვარებს; შეუძლებელია, ასე არ მოხდეს! მთელს სიცოცხლეს მას შევწირავ! რაც იქნება იქნება! დეე, დამტანჯოს მისმა ბუნებრივმა მოუსვენრობამ, დეე, დამტანჯოს მისმა სულ ახალ-ახალის გარეგნულ სილამაზისადმი ხელოვნურმა ლტოლვილებამ, დეე! მე მსურს იმისი დახსნა და კიდევაც დავიხსნი! ო, საყვარელო! შენი-ვარ, შენი! არ დაიღუპები!

II

გადასწყვიტეს ჯვარი სოფელში დაეწერათ და არა პარიზში, სადაც იმდენი ცნობის მოყვარეა მუდამ; შორს სადმე, ამ ჩვენის დროის ბაბილონზედ მოშორებით, სადაც მუდამ ასე ბევრია უსაქმო, დამცინველი ხალხი.

ბურგუნდიის ერთს სოფელში ქალბატონს დელვილს მოხუცებული ბიძა ჰყავდა მღვდლად. და აი, ესენიც იქით გაემგზავრნენ. ახლად ჯვარ დაწერილთ ბიძამ დაუთმო თავისი პაწია სახლი, რომელსაც წინ ჰქონდა გადაშლილი მწვანით მოფენილი ეზო.

ისინი მთელს თვეს დარჩნენ აქა და პირველის სიყვარულით სტკბებოდნენ. სავსებით მიეცნენ პირველს სიყვარულს და თავის აზრებს ჭარმოხიულად აკავშირებდნენ ნაზის გულის თქმასთან, აკავშირებდნენ ბუნებასთან, უნათესავებდნენ მას ფრინველთა გალობას და ნელი ნიავის შრიალს.

მთელმა თვემ გაიარა ქორწინების შემდეგ. ახლა ისინი პარიზში უნდა დაბრუნებულიყვნენ, სადაც მუდამ გამწვავებული ბრძოლაა ცხოვრებისათვის, სადაც მცხოვრებნი მუდამ ტანჯვისა და ცდუნების ქვეშ იმყოფებიან, — დაბრუნებულიყვნენ თავიანთს სახელოსნოში და შრომას შესდგომოდნენ. მაგრამ ისე მოაწყეს თავისი საქმე, ისე კარგად და ტკბილად სცხოვრობდნენ, როგორც კი ეს მოხერხდებოდა შეყვარებულთა შორის.

ამ ახლად ჯვარ-დაწერილებს შრომისა და სიყვარულის განაწილებამ ცხოვრებაში ჭეშმარიტი სიხარული მიანიჭა. მაშინ როდესაც ლუსიენი გულდადებით მუშაობდა ჟერმენი იჯდა მის გვერდით, ყურადღებით და სიყვარულით ადევნებდა ხოლმე თვალს, როგორის ხელოვნებით ხატავდა ტილოზედ იმისი ქმარი.

აღტაცებული თავისი ცოლის სიმშვენივრით, ლუსიენი ხშირად თავს ანებებდა სამუშაოს და სტკბებოდა მისი სილამაზით. ამ დროს ჟერმენის მშვენიერი არსება ლუსიენს თითქოს ძალას ჰმატებდა, ზეშთაგონების მადლსა ჰფენდა.

ოჰ, რა კარგი არის ორ საჩატრელ არსებათა ერთად ცხოვრება, რა საუცხოვო რამ არის განმარტოებით ყოფნა, ცხოვრების შფოთვისაგან განყენება და ამ მარტოობაში ფიქრი; ო, როგორ სცდებიან ყველა სხვანი, დიახ, კარგია ეს მარტოობა, მაგრამ იგი ხანგრძლივი არასოდეს არა რის ხოლმე. მალე, ძალიან მალე ეს ბედნიერნი ისევ ცხოვრების ტალღებში შეერევიან ხოლმე.

III

ლუსიენმა ჩქარა სახელი მოიხვეჭა. იმის სურათებს სწრაფად ისყიდებოდა და მყიდველები უფრო მეტის ყურადღებით ეპყრობოდნენ მას.

ერთხელ ახალგაზრდა მხატვარის სახელოსნოში გერმანელი თავადიშვილი ფონ—პ... და გრაფინია გალეგა ხელი-ხელს გაყრილნი შევიდნენ.

ამ ქალის დანახვაზედ ჟერმენი როგორღაც გაფითრდა და ყრუანტელმა დაურბინა ტანში.

— ბ. გარნიე! მიმართა თავადიშვილმა ლუსიენს მე ვნახე თქვენგან დახატული სურათი გრაფინია გალიგაისთან, რომელმაც ინება და მომიყვანა თქვენთან.

ამ სიტყვებზედ გრაფინიამ ღიმილით დაუკრა თავი.

— მე ვნახე — ეუბნებოდა თავადიშვილი, თქვენი სურათი და მოვისურვე მეც შევიძინო ერთი-ერთი თქვენგან შესრულებული სურათი. ნახატი, რომელსაც მე შევიძენ, ჯერ უნდა იყვეს გამოფენაზედ გაგზავნილი. მე გერმანელი ვარ, და ამიტომ სურათი უნდა გერმანულს გემოვნებაზედ იყოს დახატული.

„კეთილისა და ბოროტების გენია“ აი, ყველაზედ შესაფერი შინაარსი სურათისათვის. ფასზედ ნუ ვილაპარაკებთ, ჩემი მოურავი მოგართმევთ, რამდენსაც კი უბრძანებთ.

ლუსიენმა თავი დაუკრა. მაშასადამე ბ. ლუსიენ, ერთის წლის შემდეგ სურათი მზად იქნება.

— დიახ, უთუოდ.

თავადიშვილმა ხელი გაუწოდა ახალგაზრდა მხატვარს და უნდა გამოსულიყო, როდესაც გრაფინიამ ლუსიენს შემდეგის კითხვით მიჭმართა:

— ბ. მხატვარო! როგორ ფიქრობთ, დამაზი ვარ თუ არა? ამ მოულოდნელის კითხვით შემკრთალმა და გაკვირვებულმა ლუსიენმა რადაცა წაიბუტბუტა. ლუსიენის მიერ წარმოთქმულს სიტყვებში მხოლოდ სიტყვა „ღვთაებრივია“ გაისმა სათანდ.—კარგი, მაშ მითხარით. როგორც ვაკაცი მცნობთ ღვთაებრივად, თუ როგორც მხატვარი?

— როგორც ვაკაციც და როგორც მხატვარიც.

— უფრო კი როგორც მხატვარი არა?

დიახ, როგორც მხატვარი.

— კეთილი, უპასუხა სიხარულით გრაფინიამ, მაშ გთხოვთ დახატოთ ჩემი სურათი; ჩემის ფიქრით, როდესაც თითონ ხელოვანი სთვლის თავის ორიგინალს მაქზიდველად, უთუოდ კარგადაც დახატავს.

თუ გნებავთ ხვალიდგან დავიწყოთ, მაბრძანდით ru St florentin, 10.

IV

მეორე დღეს ლუსიენმა ჟერმენს უთხრა, რომ გრაფინიასთან მიდის

— კარგი, ჩემო მეგობარო. ჩქარა დაიწყე, რომ მალე გათავო.

ამას ჟერმენმა ადარც ერთი სიტყვა, არც ერთი რჩევა, არც ერთი შენიშვნა არ დუმატა. მხოლოდ ისე საამურად გაუღიმა, თითქოს სურდა ეს ღიმილი უხილავ ჯაჭვნად შემოერტყა გარს ლუსიენისათვის.

გრაფინიამ ლუსიენი მიიღო მდიდრულად სხვადასხვა თვალთმაქცურ ავეჯით მორთულს ბუდუარში.

გრაფინია გალიგაის მუდამ გარს ეხვევნენ ახალგაზრდა პოეტები, არტისტები, პოლიტიკოსები, დიპლომატები, და საზოგადოთ თვალსაჩინო უმაწვილ კაცობა, რომლებთანაც მუდამ მეგობრული საუბარი ჰქონდა ხოლმე. ამ დაპარაკში სიტყვა „თქვენის“ადგილი ეჭირა მეგობრულს „შენს“. ლუსიენი ცოტა არ იოს კანცვიერა ასეთმა თავისუფალ სიტყვის ხმარებამ, მაგრამ შემდეგში შეიტყო, რომ გრაფინია იტალიელი იო, და უფრო მეტად მოსწონდა სიტყვა „შენ“, ვიდრე „თქვენ“, რომელსაც ფრანგული ენის სენადა სთვლიდა.

ლუსიენი მიხვდა რომ გრაფინია იმ დედაკაცთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელთა ცხოვრებაშიაც არ არსებობს არავითარი პატიოსნების დამაცირებელი უწესობა და ეს უწესობა ჩვეულებად აქვს გადაქცეული. მაგრამ უმაწვილ კაცობა რომ არ შემოეფანტოს, ის ხმარობს სიკეკლუცეს და სხვა ამ გვარ საშუალებას, და სრულიად არ ფიქრობს იმაზედ, რომ ასეთს ქცევას საზოგადოება ეჭვით უყურებს, მით უფრო, რომ იგი ქვრივია. გრაფინია თავის სიცოცხლეს ცხენოსნობასა, სეირნობა — მოგზაურობასა სადილებს, წარმოდგენებსა და კონცერტებს ანდომებდა.

აი ამ ცხოვრების ქარიშხალმა გაიტაცა ჩვენი მხატვარი და რამდენიმე თვის განმავლობაში თავის სახელოსნოსათვის არც კი მიუხედნია. სახლში ბრუნდებოდა დაქანცული, ფერ-მიხდილი და ეველა ამის ასახსნელად ცრუობდა ჟერმენთან. ჟერმენი მუდამ დაწყნარებული უგდებდა ეურს ქრმის ჩივილს; ამ დროს მას მშობლიური დიმილი უკრთოდა ხოლმე სახეზედ; თუმცა გულს რაღაც უქენჯნიდა, მაგრამ ეველა ამის დროს, ის მაინც სიბრალულით ეკიდებოდა ლუსიენს.

ის მტკიცედ იო დარწმუნებული, რომ დადგებოდა ის დროც, როდესაც ლუსიენი დუბრუნდებოდა თავის ოჯახს. ეს დღეც დადგა. როგორღაც მოხდა და გრაფინიას კეთილ-გონიერება დაუბრუნდა.

— ეური მიგდე, ჩემო საყვარელო, უთხრა ლუსიენს: მომბეზრდა ეს უფერული სიცოცხლე: ეხლა მე ერთი მშვენიერი აზრი მომივიდა—მე მსურს რაიმე ხელობა ვისწავლო.. მხატვრობა მაგალითად, მე ხომ სხვაში არაფერში ვარ კამოსადეგი: მე ვიცი მხოლოდ სიცილი, სიმღერა, ქეიფი და ბევრი ამ გვარი დროს კატარება და ეველა ეს ხომ უნაყოფოა. არ გინდა ჩემი მასწავლებელი იო? საუცხოო აზრია! დიახ, ჩემო მხატვარო, შენ მასწავლი მე. წაკიდეთ შენს სახელოსნოში?

კარგი, უპასუხა მხატვარმა, რადაცა ნაღვლიანის გამომეტყველობით.

V

სახელოსნო უდაბნოდ გარდაქმნილიო. მაინც დიდი ცვლილება არ ეტყობოდა: ბიუსტები, ქანდაკებანი, ესკიზები, ღერბები, ეველა თავის ადგილს იო ისევ.

დარბაზს დიდი შეწვანე ფარდა ჰეოფდა.

ერთი ნახევარი დარბაზისა სახელოსნო იო და მეორე სასტუმრო.

აი ამ ოთახში შეეიდნენ ლუსიენი და გრაფინია.

— ძღვეს!.. აი, ჩემო მეგობარო, ის ადგილი, სადაც პირველად მე შენ გნახე, უთხრა გრაფინიამ, ვინ მეტუოდა მაშინ...

— ო! რა უცნაური ხარ, გრაფინია!

— შენ რაღად ხარ აგრე დაღვრემილი, ჩემო სიცოცხლევ? რა დაგემართა დღეს?

— არაფერი.

— სტყუი! რაღაც ამბავია... დაჯექ ჩემს ახლოს და შენი ნაღველი გამიზიარე.

— გარწმუნებ, არ ვნაღლობ.

გრაფინია ჩაფიქრდა.

— გაკვეთილის შესახებ რაღას იტყვი, ჰკითხა მხატვარმა.

— ეხლავე, ჩემო ძვირფასო მასწავლებელო! ჯერ მითხარი, ვინ იყო ის ქერა ქალი, რომელიც შარშან აქ ვნახე: ის მგონი საკმარისად ლამაზია?

— ჩემი ცოლია, ქალბატონო!

— შენ ცოლიანი ხარ—საბრალო! ოჯახი ხომ ნიჭს უხშობს—ადამიანს. ლუსიენი შეყოყმანდა და პასუხი არ მისცა.

— მითხარ, როგორი ღედაკაცია შენი ცოლი? უთუოდ ის ბურჟუაა, ისეთი ადამიანი, რომელსაც არც იდეალი აქვს და არც რაიმე აზრი.

ლუსიენმა იმდენად სიმდაბლე იხმარა, რომ წინააღმდეგობა არ გაუწია ამ კადნიერს სიტყვებს. მისი ყურადღება სულ სხვა საგანს ჰქონდა მიპყრობილი. მან შენიშნა სამხატვრო სტოლზედ დაწყობილი სურათი, რომელიც მას თავადიშვილმა შეუკვეთა. უთავბოლოდ გატარებულმა დრომ სრულიად დაავიწყა მას ესკიზიც და შეკვეთაც.

ღმერთო ჩემო, სთქვა ლუსიენმა, ხვალ უკანასკნელი დღე-ღაა გამოფენაზედ სურათების წარდგენისა და მე კი სრულიად დამავიწყდა ეს სურათი!

— მერე რა გაწუხებს? ხვალ არა, ერთის წლის შემდეგ იყვეს.

— პირობა?

— შენ მას გაიმეორებ!

— გონორარი?..

— დიახ, სთქვა გრაფინიამ, შენ სწორედ ღირსი ხარ შენის უსიცოცხლო ცოლისა!

— ვხედავ გრაფინია, რომ შენ წლიურად სამასი ათასი ფრანკი გაქვს შემოსავალი და მეკი არა. სურათი მზად არ არის.

— არა, გაისმა სასიამოვნო ხმა ჟერმენისა, სურათი მზად არის.

გადასწია ფარდა და სურათი უჩვენა.

ქმარი გაოცებული დარჩა.

დიდს სამხატვრო სტოლზედ მოსჩანდა საუცხოვოდ შესრულებული ესკიზი დანიშნულს თემაზედ: ,,გენია კეთილისა და ბოროტისა.''

— საუცხოვოა, შეჰყვირა ლუსიენმა, სწორედ ჩემს გეგმაზედ დახატული, მაგრამ ვის უნდა დაეხატოს ნეტა?

— მე, ჩემო მეგობარო! წყნარის კილოთი უთხრა ჟერმენმა.

— განა იცი შენ ხატვა?!

— მონასტერში რამდენსამე წელიწადს ვსწავლობდი და მერე-კი, როდესაც შენ ხატავდი ხოლმე, მუდამ ყურადღებით ვადევნებდი თვალს. მაგრამ ვინ იცის რამდენი ფრთა წავახდინე, ვიდრე ამ სურათს დავხატავდი მაპატიე!

— ჟერმენ, ჩემო ჟერმენ, შენ ამ ქვეყნიური არა ხარ, ეუბნებოდა ცრემლ-მორეული ლუსიენი!

— მშვენიერებაა! წარმოსთქვა აგრეთვე გრაფინიამ. ამ სურათზეა გამოხატული ორი მინდილოსანი, რომლის შინაარსსაც შეადგენს ,,გენია კეთილისა და ბოროტებისა'', ორივ მსაჯულების წინ წამდგარან. სურათი საშუალო საუკუნოების გემოვნებაზედაა დახატული. მაგრამ, რა არის ეს? ერთი ამათგანი მე ვარ.. მე, ბოროტი სული... მეორე... თქვენა ხართ.. გენია კეთილისა... ეს ცოტა ვერ არის კარგი! გესლიანად შენიშნა გრაფინიამ და გამოსვლას აპირებდა, მაგრამ შემობრუნდა და

— ქალბატონო გარნიე! მე თქვენს ქმარს ,,შენობით'' იმიტომ კი არ ველაპარაკებოდი, რომ რაიმე საძრახისი კავშირი მქონდეს მასთან; არა! მე არ მაქვს ჩვეულებად ვისმეს ,,თქვენობით'' ველაპარაკო.

— ვიცი გრაფინია! მაგრამ მიგიხვდით რომ გემწარათ.

გრაფინია სიბრაზისაგან აერთო, მაგრამ მცირეოდენის ფიქრის შემდეგ სთქვა:

— თუმცა საწყენია, მაგრამ არ შემიძლია არ გამოგისთქვა, რომ თქვენ მშვენიერი და მამაცი ქალი ხართ! მშვიდობით, ბატონო ლუსიენ!

გრაფინია წავიდა.

— ჟერმენ, ჩემო ძვირფასო ღვთაებავ, ეუბნებოდა ლუსიენი, მაპატიე, მაპატიე! მე ეხლა წინანდელზედ მეტად მეყვარები; წინად მე მხოლოდ შენი სილამაზე მომწონდა, ახლა-კი მიყვარხარ! მე მიყვარს ეხლა შენი კეთილი გული, ვაფასებ და მომწონს შენი პირადი ღირსებანი.

ოლ. ბეჟ-აგლაძისა.

ძეძვი

როცა ძეძვი წამოგედებათ დაიწყებთ ხოლმე მოუთმენლად ფეხების ქნევას, რომ გააცალოთ იგი თქვენს ტანისამოსს. მაგრამ ზოგჯერ ისე მოგეკრობათ, რომ სანამ ხელებს არ მიიშველებთ ვერაფერს გახდებით. ბევრჯელ კი ძეძვი ტანისამოსსაც ჩამოგაფხრეწთ და დაზიანებულნი, წყეულით შორს გადაისვრით.

საუბედუროდ ძეძვი უსულოა.

არაფერს არა გრძნობს და არ ესმის თქვენი ულიამოვნება.

ხვალ მეორე კაცს წამოდება და მიუგლეჯს ტანთსაცმელს ან და თითში შეერჭობა და კარგათაც დაუსიებს.

ეს ძეძვის ამბავი მომაგონდება ხოლმე, როცა ზოგიერთ ქართველ ინტელიგენტის საზოგადო მოღვაწეობას დაუკვირდები. ჩვენი ცხოვრების ორღობეში ისინი ძეძვისავით მოგედებიან ყველგან.

საქმის უნარი არა აქვთ, შრომა არ უყვართ, ცოდნით არაფერი არ იციან, მაგრამ არ არის არც ერთი ქართული დაწესებულება ან სერიოზული საქმე, სადაც ეს მოღვაწენი არ გამოედვნენ..

და თუ მოედებიან, უსათუოდ რაიმე უსიამოვნებას და ზიანს მოუტანენ.

ვიცნობ ერთ მოღვაწეს.

იგი მოედო ყველა ჩვენ საზოგადოებათ და საქმეებს.

და ყველგან ნაძეძვარ კვალსა სტოვებდა და სტოვებს.

იქ საზოგადოებას გზას უკაფავდა, აქ მთელ დასებულების გამგეობა გადაყენებამდე მიიყვანა.

იქ გაცხარებულ საქმის დროს უშნოდ ამთქნარებდა.

აქ მშრომელ მოღვაწეებს ზედ დახარხარებს, ერთი სიტყვით მოღვაწეობს.

რასაკვირველია, ეს მოღვაწე ყველა საზოგადო კრებაზედ პირველ რიგშია გამოჭიმული.

იგი ხომ ყოველ აღძრულ საკითხს უნდა წამოედოს,

ძეძვია!

თავმჯდომარენი კრებებისა დიდი პატივისცემით ეპყრობიან მას (ვაი თუ ჩვენც მოგვედოსო) და რომ არ აწყენინონ სიტყვის ნებას უწესრიგოდაც აძლევენ.

ზოგჯერ გაფაციცებით სთხოვენ კიდეც:

„ბატონო... მართალია, თქვენ ჩაწერილი არა ბრძანდებით, მაგრამ იქნება გსურთ სიტყვა?“

„რასაკვირველია მსურს!“ ბოხი ხმით უპასუხებს ჩვენი მოღვაწე და წამოხტება.

მისი სიტყვა გრძელდება ერთი წუთი, მაგრამ სავსეა ავტორიტეტული კილოთი:

„ჩემი პრაქტიკიდამ... როცა მე ვმუშაობდი... ჩემი მოღვაწეობა.“ ამ ნაირი სიტყვებით იწყობა და თავდება მისი შესანიშნავი წუთიერი „რეჩები“.

მხოლოდ უნდა ნახოთ, როცა სხვა ვინმე ლაპარაკობს და მეტადრე რაიმე სერიოზულს და ჭკვიანურს.

მისი სახე იღმიჭება, იკლაკნება და სარკასტიულად გადასცქერის ყველას.

— fi donc! ამბობს მისი სახე.

— რა უჭკუო ხალხია! უნდა პროტესტი განვაცხადო.

და აცხადებს ცხარე პროტესტს.

მერმე დამშვიდებული და კმაყოფილი სავარძელში დაეშვება და ფეხებ მაღლა აწეული კვლავ ელის

როდის აირჩევენ მას ახალ საზოგადო თანამდებობაზედ.

და ყოველი საზოგადოების წევრიც ჰფიქრობს.

— ეს ძეძვი მე არ მომედოს!..

მოდი თავიდამ მოვიშორო!

და ახლად ირჩევს.

ჩვენი ძეძვიც ახალ საზოგადო საქმეს ეკრობა.

ნაცარა.

გუთანი „ბრაბან-დუბლი“

ამას წინად ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ, ბ-ნ ა. ორჯონიკიძის წინადადებით, გადასწყვიტა გამოსცადოს გუთანი „ბრაბან-დუბლი“; ამიტომ უადგილო არ იქნება გაეცნოს მკითხველი თუ რას წარმოადგენს ეს გუთანი და რა უპირატესობა აქვს სხვა გუთნებთან.

ეს გუთანი შესდგება ორ ნაწილისგან, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ორ გუთნისგან (რის გამოც უწოდეს

„დუბლი“) რომელიც სიმეტრიულად არის ასხმული ორ მხრივ ერთ საერთო ღერძზე. ღერძი ან მოძრავია, ან კიდევ უძრავი. პირველ შემთხვევაში მომუშავე ნაწილნი (ფრთა, სახნისი, საკვეთი და სხვა) მიმაგრებულნი არიან უძრავად ღერძზე მეორე შემთხვევაში კი ღერძი რჩება უძრავად და მხოლოდ გუთნისა მომუშავე ნაწილნი ტრიალებენ ამ ღერძის გარშემო.

გუთანი „ბრაბან-დუბლი“ ორ გვარი კონსტრუქციისაა: ფრანგული და ბელგიური. ერთი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სიღრმის რეგულიატორით. ფრანგულ კონსტრუქციის გუთნის სიღრმის რეგულიატორი დამოკიდებულია ბურღის ტრიალზე, ბელგიისა კი ბერკეტზე (рычагъ); სიგანის რეგულიატორი კი ორთავე კონტრუქციის გუთნისა ერთი და იგივეა ე. ი. დამოკიდებულია თვლების გაწევ-გამოწევაზე. პირველ სისტემის გუთანი, ე. ი. როდესაც ღერძია მოძრავი, უფრო პრაქტიკულად ითვლება და მთელ ევროპაში, უმეტეს ნაწილად, ამ გვარი გუთნებია გავრცელებული.

უმთავრესი უპირატესობა ამ გუთნისა არის **დროს** და **ძალის ეკონომია**, როგორც ადამიანის ისე პირუტყვის. ჩვეულებრივ გუთნით მხვნელი იძულებულია ყოველ რიგის გატანის დროს, მოატრიალოს გუთანი, შემოუაროს მინდორს და მივიდეს იმ ადგილს. საიდანაც პირველად დაიწყო მუშაობა. „ბ. დ.“ ის გუთნით კი ერთ რიგის გატანის შემდეგ იქვე გადმოატრიალებს, დაუგდებს გუთნის მეორე პირს და ამ გვარად გაიტანს რიგსა, მეორედან მესამეს და ასე ამ გვარად ბოლომდე. როგორც ვხედავთ, დროს ეკონომია დიდია. ეხლა ავიღოთ ადამიანის და პირუტყვის ძალის ეკონომია. ჩვეულებრივ, ჩვენებური გუთნისთვის საჭიროა გამოცდილი გუთნის დედა, რამდენიმე უღელზე მჯდომი ბიჭი და 6—7 უღელი სული პირუტყვისა. „ბ. დ.“ სისტემის გუთნის დროს მუშათა ხელი შემცირდება ნახევარზე. რაც შეეხება პირუტყვს, საზღვარ გარეთ (მაგ. ბელგიაში) ორ ცხენის მეტს არ აბამენ. მართალია, ბელგიის ცხენი განთქმულია, მაგრამ რაც უნდა იყოს სამი ხარის მეტი ძალა არ ექნება. გამოდის რომ ჩვენში 3 უღელი სული პირუტყვისა სრულიად საკმარისი იქნება.

რასაკვირველია, იმის თქმა, რომ ეს გუთანი უეჭველად ეამოდგება ჩვენში, ნაადრევია - ამას მომავალი დემონსტრაცია დაგვანახვებს, მხოლოდ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ გუთანი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ უმთავრეს მოთხოვნილებას:

ა. უნდა იყოს უბრალო, გამძლე და ამავე დროს სუბუქი, ისე რომ ტყუილ უბრალოდ არ უნდა იხარჯებოდეს არც ადამიანის და არც პირუტყვის ძალა.

ბ. რაიმე ნაწილის გაფუჭების ან გატეხის დროს უბრალო მჭედელმაც კი უნდა შესძლოს მისი შესწორება და გაკეთება. რომ ადვილად შეიძლებოდეს მისი გაძღოლა.

დ. კარგა ჰკვეთდეს მიწას, როგორც ჰორიზონტალურად ისე ვერტიკალურად; იმ გვარად რომ მოჭრილ ბელტისგან შემდგარი ზედა პირი მიწისა სწორე იყოს.

ე. თიხნარ და ნოტიო ადგილას მიწა არ უნდა ეწებებოდეს გუთანს იმ გვარად რომ აფერხებდეს გუთნის სწორ მოძრაობას.

თუ „ბრაბან-დუბლის“ გუთანი ჩვენშიც იქნება ამ თვისებების დამაკმაყოფილებელი, მაშინ დაგვრჩენია მხოლოდ ვუსურვოთ ჩვენ მიწის დამმუშავებელთ მისი სწრაფი გავრცელება.

ი. გველესიანი.

საკოოპერაციო კურსების გამო

ხვალიდან იხსნება საკოოპერაციო კურსები ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. ასეთი დროის შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯი, შეიძლება ითქვას, თითქმის ჯერ არ გადაუდგამს საზოგადოებას. ვინც კი გასცნობია ჩვენს სოფლებში არსებულს კოოპერატივებს, ყველა დარწმუნდებოდა, თუ როგორი შემთხვევითი ხასიათი აქვს სოფლად დაარსებას კოოპერატივებისას, ნამეტნავად საკრედიტოსი. და როგორ მდგომარეობაში ვარდება იმის გამო, რომ ადგილობრივ არ მოიპოვებიან საქმის მცოდნენი, რომელთაც შეეძლოთ კოოპერატიულ ამხანაგობის წარმოება. საკმარისია, ერთს რომელიმე პირს მოუვიდეს აზრად დაარსება საკრედიტო ამხანაგობისა და საქმე გაჩარხულია. სახელ-დახელოდ

ადგენს თხოვნას და რამდენიმე ხნის შემდეგ აარსებს კიდეც ამხანაგობას. იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს, თუ რამდენად შეეფერება ადგილობრივ პირობებს განზრახული კოოპერატივი, მოიპოვება თუ არა ხალხი, რომელიც აწარმოებს ამხანაგობის საქმეს მის შემედგ. ყველა ეს უმთავრესი საკითხები მისთვის მეორე ხარისხოვანნი არიან და ყურადღებას არ აქცევს. ამხანაგობა არსდება. პირველ ხანებში კარგადაც მიჰყავს საქმეები, მაგრამ აი, მოთავეს, საქმის ერთად ერთს თავსა და ბოლოს, უხდება წასვლა იმ სოფლიდან, სადაც დააარსა ამხანაგობა. ვარდება საგონებელში და აღარ იცის, როგორ გამოსძებნოს ისეთი პირი, რომელიც განაგრძობს მის მიერ დაწყებულს საქმეს. ძებნა უქმად ჩაუვლის, რადგან შესაფერს მომზადებულს პირს ვერ გამოსძებნის და მიდის იმ დასკვნამდე, რომელსაც დასდგომოდა ერთი ასეთი მოთავე და რომელიც სასოწარკვეთილი გაიძახოდა, იძულებული ვარ მივმართო საგუბერნიო წვრილი კრედიტის საქმეთა კომიტეტს დახუროს ამხანაგობა, რადგან ადგილობრივ არავინ არ მოიპოვება ისეთი პირი, რომელსაც შეეძლოს აწარმოვოს ამხანაგობის საქმეები. ასეთ შედეგს კიდევ შეურიგდება კაცი, რომ ასე სახელდახელოდ დაარსებული კოოპერატივი არა სასურველს შედეგს არ იღებდეს, თუ გინდ ისეთს, როგორც მოჰყვა გლდანის საკრედიტო ამხანაგობას, რომელიც დაარსდა ადგილობრივ მღვდლის მეთაურობით და შემდეგ. ამ მღვდლის გლდანიდან წასვლით, თუ თავის მინებებით, ამხანაგობა ისეთს მდგომარეობაში ჩავარდა, რომ გლეხები თავებდს იწყევლიდნენ. კარგია კიდევ გამოსძებნეს საშველი,—გლდანი შეუერთეს ავჭალას და საქმის მეთაურობა ჩააბარეს ავჭალელს სოფლის მწერალს. ასევე შემთხვევით დაარსდა მეორე საკრედიტო ამხანაგობა გლდანის მახლობლად. ამ ამხანაგობის დაარსება მეტად კურიოზულია. საქმის მოთავე, ადგილობრივი მღვდელი მონაწილეობას იღებდა მეზობელ სოფელში არსებულს საკრედიტო ამხანაგობაში, რომელმაც იმდენი კრედიტი არ გაუხსნა, რამდენიც მას ჰსურდა, გულნაწყენმა გადასწყვიტა უეჭველად და უეჭველად ბანკის გახსნა" და მართლაც გახსნა. არ გეგონოთ ვითომ ხალხის კეთილდღეობისთვის აეტინებინოს ასე. ეს მაინც და მაინც აშკარად სჩანს საანგარიშო წიგნებიდან, სადაც თვითოჯერ თბილისში ჩასვლაზე (სულ რაღაც 12—15 ვერსით არის დაშორებული თბილისს 12—15 მანეთი უწერია ხარჯად. არც თუ თვითონ მალავს თავის საქციელს. შეკითხვაზე, თუ რად ხარჯავს ამდენს საამხანაგო ფულს, მოგიგებთ: „იმიტომ ვიწვალე ბანკის დაარსებაზე, რომ გამოვრჩე რასმეო". აი ასეთს სამწუხარო სურათს წარმოადგენს ზოგიერთს სოფლებში არსებული კოოპერატივები და სხვა მრავალი მაგალითებია კიდევ. ყველა ეს აიხსნება იმით. რომ სოფლად არ მოიპოვებიან კოოპერაციის მცოდნენი. აქედან ცხადია, თუ რამდენად საჭიროა ცნობა კოოპერატიულ საქმეთა, ნამეტნავად მათი პრაქტიკული მხარისა. სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა სამეურნეო საზოგადოებამ და განიზრახა დახმარების ხელის გაწვდენა. რამდენად შეასრულებს ამ მიზანს საზოგადოება, ამას მომავალი გვიჩვენებს, ეხლა კი წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ კურსები, რაგინდ ნაკლი აღმოაჩნდეს, მაინც შესაფერს კვალს დასტოვებს კოოპერატიულ მოძრაობაზე ჩვენში. ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ, როგორც სჩანს კურსების პროგრამიდან, პრაქტიკული ნაწილი კურსებისა—ანგარიშის წარმოება, იქმნება ქართულად. დღეს არსებულს კოოპერატივებისათვის მუშაკთა შოვნას აძნელებს ანგარიშის წარმოება რუსულს ენაზე და ქართული ენა საგნის წარმოებას ძლიერ გააადვილებს და, რაც უმთავრესია, ადგილი აღარ ექნება ისეთ პირად თვითნებობას, რომლის მაგალითიც ზემოდ მოვიყვანეთ. ხალხის მომეტებულს ნაწილს შეძლება ექნება თვალყური ადევნოს ამხანაგობის საქმეების წარმოებას და თანდათან აიცილებენ ცუდს შედეგს. სასურველია, საზოგადოება არ დაკმაყოფილდებს მარტო წრევანდელის კურსებით და შემდეგშიაც ყოველწლივ მოაწყოს იგი.

ს. კ.

სტატისტიკა ქართულ წიგნთა გამომცემლობისა

ქართულ წიგნთა გამომცემლობის შესახებ საინტერესო ცნობებია მოყვანილი „კავკასიის კალენდრებში". ცნობები ამოღებულია კავკასიის საცენზურო კომიტეტის ანგარიშებიდან და ეხება 1910 და 1911 წლებს.

გამოცემული იყო:

	1910 წ.		1911 წ.	
	თხუზულებ. რიცხვი	რამდენი წიგნი	თხუზულებ. რიცხვი	რამდენი წიგნი
პოპულიარულ-პოლიტიკურ შინაარსისა	2	2000	3	4050
სახალხო გამოცემანი	22	41500	45	94350
სასულიერო	11	24400	11	15900
საბავშვო	1	1000	3	4700
კალენდრები, წესდებანი, ანგარიშები, პროექ. და სხ.	9	33800	9	36500
ბელეტრისტიკა	47	69030	74	123780
სამოსწავლო სახელმძღვანელოები	12	53650	12	82260
სამეცნიერო თხზულებანი სხვა და სხვა დარგებისა	24	25380	29	36700
სულ	128	250760	186	397540

როგორც ცხრილი გვიჩვენებს 1911 წინა წელზედ მეტი გამოიცა 146,760 წიგნი. მათ შორის საგრძნობლად მოიმატა სახალხო წიგნების გამოცემამ—52,850 წ., ბელეტრისტიკამ—54750 წ., სახელმძღვანელოებმა—28610 წ. და სამეცნიერო—11320 წ. დაიკლო მარტო სასულიერო გამოცემამ 8500 წ. საერთოდ ქართულ წიგნთა გამომცემლობას 1911 წელს შედარებით 1910 წელთან დიდი პროგრესი დაეტყო. და თუ ამ გზით ივლის, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ქართული ეროვნული ცხოვრებაც შესამჩნევად წინ მიისწრაფვის და აღორძინების გზას ადგია.

S.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ

სულ მოკლე ხანში ქართულ წიგნის ბაზარზედ რამდენიმე ახალი გამოცემა გამოვიდა. შეუძლებლად მიგვაჩნია მათი დაწვრილებით განხილვა, მაგრამ ზოგიერთ მთავარ გამოცემაზედ საუბარი აუცილებელია. მათ შორის არიან ისეთები, რომლებსაც ახალი რამ შეაქვთ ჩვენს ლიტერატურაში, არიან ისეთებიც, რომლებიც გვაგონებენ გასულ ხანებს და თანამედროვე მკითხველს აშკარად უხსნიან წარსულის სურათებს და სულის კვეთებას.

პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ს. აბაშელის ლექსთა კრებული „მზის სიცილი“ და ალმანახი გვირგვინი. მათ გარეგნობაზედ ბევრს არას ვიტყვი, მხოლოდ იშვიათად გამოსულა ასე ლაზათიანი გამოცემა, მაგრამ რაც შეეხება მათ შინაარსს, აქ სათქმელი ბევრია და ძალიან ვწუხვართ, რომ დრო და გარემოება ამის ნებას არ გვაძლევს.

„მზის სიცილი“ ლექსთა კრებულია უკვე ცნობილ მგოსნის ს. აბაშელისა. ს. აბაშელი, ეჭვი არ არის, ნიჭიერი ადამიანია, მის ლექსებში ბევრი სტილი და ფილოსოფია არის, მაგრამ იგი გვაიძულებს ვსთქვათ, რომ მისი ფანტაზია ერთხელ აკვიატებულ მზის სფეროს ვერ გასცილებია. მის „მზის სიცილში“ ისევე ბევრია სილამაზე, როგორც თვით მზეში, მაგრამ ზოგჯერ მისი პოეზია ისევე მომაბეზრებელია, როგორც პაპანაქება იმავ მშვენიერ მზისა. რად ხდება მერე ესა? ნუ იფიქრებთ, რომ ს. აბაშელის ლექსს არ ჰქონდეს აზრი, არ ჰქონდეს სტილი, ნაპერწკალი ზეშთაგონებისა! მაგრამ მის აპოლოგიას აკლია ის, რასაც ვეძახით „ჯავარს“. ერთფეროვანობა გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ს. აბაშელს აკლია მრავალი სტიმული შემოქმედებისა. ყოფნა რეგიონთა შორის, წინსვლა წინააღმდეგ სტიქიონისა, ავიაციის ხანაში პოეტისთვისაც ისევე საძებარი და საანუკვარია, როგორც პილოტისთვის. მაგრამ პილოტსა და პოეტს შორის ის განსხვავება, რომ ერთი ამუშავებს მექანიკას, მეორე ფსიხიკას და ყოველ პოეტურ აღმაფრენას თავისი რეალური კონსექვენცი უნდა ჰქონდეს.

კოსმოსი ისეთი მომხიბლავი რამ არის, რომ დაწყობილი შაბლონურ ასტრონომიულ გამოკვლევიდან, კაცს უდიდეს პოეტურ აღმაფრენამდე მიიყვანს; მას შეუძლია მართლაც აიტაცოს ადამიანი მაღლა, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ასეთი „ამაღლება“ ადამიანისა უკვე მისტერიაში გადადის და იქ, სადაც მისტერია სუფევს, ნამდვილ პოეზიას ადგილი აღარა აქვს.

მიუხედავად ამისა. ჩვენ მაინც სალამს უძღვნით ახალგაზრდა ნიჭიერ მგოსანს და ვიმედოვნებთ, რომ მისი კრებული უკანასკნელი არ იქნება ქართული ლიტერატურისათვის.

ფრიად საყურადღებოთ არის შედგენილი ალმანახი **„გვირგვინი“**. აქ არის წერილები გრ. რობაქიძისა, მიხ. წერეთლისა, პოემა სანდრო შანშიაშვილისა ნაწერები ს. ფირცხალავასი და ბოლოს ოიდიპოს მეფის თარგმანი პ. ქავთარაძისა. ყველას ყურადღებას ძალაუნებურად მ. წერეთლის „სუმერული და ქართული“ იპყრობს. იპყრობს უპირველესად იმიტომ რომ, თვით ტემაა საყურადღებო და მეტად ახალი ქართული საზოგადოებისთვის, მეორედ კი და უმთავრესად იმიტომ რომ ყველას ეინტერესება მ. წერეთელი ლინგვისტისა და ორიანტალისტის როლში. მ. წერეთელი ნიჭიერი პუბლიცისტი და ქართველი სოციოლოგია და ჩვენ რ ვიცით, საბოლოოდ შეუდგა იგი ენათა ძიების მეცნიერებას, თუ, როგორც თვითონ ამბობს თავის საყურადღებო შრომის ბოლოში, იძულებული იყო მოეკიდა ხელი ამ ჩვენთვის, ქართველებისთვის ფრიად საყურადღებო საკითხისთვის. როგორადაც უნდა იყოს, მისი ახალი შრომა ახალი წვლილია ჩვენს ლიტერატურისთვის და ვიმედოვნებთ ქართველი ლიგვისტები მალე დაინტერესდებიან იმ საკითხით, რომელსაც ქართველებისთვის ფარდა პირველად მ. წერეთელმა ახადა.

* * *

ახალ გამოცემათა მეორე კატეგორიას ძველ ავტორთა თხზულებანი ეკუთვნიან. ესენი არიან: „თხზულება გიორგი მაქსიმეს ძის ქოჩაკიძისა (ჭალადიდელისა) და ილია ჭყონიას ნაწერები.

ჭალადიდელი ჩვენში საკმაოდ პოპულიარული მწერალია მისი „მიყვარს ფაცხა“ და „მახსოვს პირველად“ პირდაპირ სახალხო ლექსებად გადიქცნენ და მის შემქმნელს მუდმივი სახელი მოუხვეჭეს. სამშობლო ლიტერატურის მოყვარულთათვის და მეტადრე ყველა ჯურის რომანტიკოსებისთვის ჭალადიდელის ლექსთა თხზულებანი პირდაპირ ძვლენია. წარსულის სიო მოჰქრის წიგნის ფურცლებიდან, იმ წარსულისა, როცა ხელახლად ეწყობოდა და ღორძინდებოდა ჩვენი ლიტერატურა. იმდენი რამ არის ამ წარსულში სატრფიალო და მოსაგონებელი, რომ თქვენ ვერ გაგაოცებთ ვერც სტილი მაშინდელ მწერლებისა, ვერც მიმართულება, ვერც ენა. ჰარმონია ჭალადიდელის ლექსებისა მწყობრი არ არის, მაგრამ არ შეგიძლიან უგულისძგეროდ წაიკითხოთ მისი ლექსი. ინდივიდუალობა მგოსნისა იგივე ღვინოა, რაც უფრო ძველია — მით უკეთესი და როცა კითხულობთ ჭალადიდელის ლექსს, თქვენ არ გაშინებთ ის აზრი. რომ თანამედროვე მგოსანი სხვანაირად იტყოდა მას, რასაც ჭალადიდელი ისე გატაცებით ამბობს, თუ გნებავთ ისე მოუხეშავადაც...

—

მეოთხე წიგნი ეკუთვნის ბატონ ილია ჭყონიას. წიგნი საკმაოდ ვრცელია და შიგ თავი აქვს მოყრილი ყველა იმ მასალას, რაც კი უბეჭდია ავტორს სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებში. აქ არის ლექსები, პოემები, თარგმანები, მოთხრობები, პიესები და მრავალი წვრილმანი მასალა, როგორც პუბლიცისტური, აგრეთვე ბიბლიოგრაფიული. ყველა ეს ჯერ იმის წარმოდგენას იძლევა, თუ რა მრავალ ფეროვან საკითხებით და დარგებით იყო დაინტერესებული თვით ავტორი და შემდეგ რითი საზრდოობდა მრავალ ხნის განმავლობაში ქართული ჟურნალისტიკა. ერთ დროს ქართულ გამოცემებში მრავლად იბეჭდებოდა სხვა და სხვა პატარა სცენები, სამხიარულო მინიატურები და ვერ შეხვდებით ვერც ერთ იმ დროულ მწერლის გამოცემას, რომ ასეთ მასალას არ ჰქონდეს შიგ დათმობილი ადგილი. ეს დამახასიათებელი თვისებაა ქართულის ჟურნალისტიკისა. შეიძლება იფიქრონ, რომ ამ მასალით მაშინდელი რედაქტორები მკითხველს იზიდავდნენ. ასეთი სცენები გვხვდება გ. ჭალადიდელის თხზულებაში, ამასვე ვხედავთ. ბ. ილია ჭყონიას ნაწერებში. საზოგადოთ საჭიროა ყველა ნაწერების თავ მოყრა, რომ მომავალ ისტორიკოსს ქართულ ჟურნალისტიკისას მასალა ჰქონდეს სხვა და სხვა ხანათა დასახასიათებლად. ილია ჭყონიას ნაწერები კი ასეთ ისტორიკოსს დიდ სამსახურს გაუწევს.

* * *

ბალკანეთის ამბები

მახვილის ამღები მახვილისაგან გაიგმირების, ნათქვამია, და ეს სიტყვები ისე არავის შესწყობია, როგორც ახალგაზრდა ბულგარეთს. რა თავგამეტებით, რა ერთსულოვნად შემოიკრიბა გარშემო ბულგარეთში სლავიანები და ბერძნები, რომ ოსმალეთის სიძლიერე დაეცა და ძმათა განთავისუფლებისათვის სისხლი დაენთხია. კავშირის ძალა სწორედ ამ ერთსულოვნობაში იყო და სრულიად მოულოდნელ, განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია. პატარა და უძალო სახელმწიფოთ მიწასთან გაასწორეს და კინაღამ ევროპის კიდეებიდან სრულიად განდევნეს ძველადგანვე ძლიერად და დიდ სახელმწიფოდ ცნობილი ოსმალეთი. ყველგან დაამარცხეს, წაართვეს ციხე-ქალაქები, ჯარი გაუნახევრეს და სტამბოლის კარებს მიადგნენ თითქმის. ერთობა, მოკავშირეთა უძლიერეს თავდებად შეექმნათ და ლელო გაიტანეს იქ, საცა ცალ-ცალკე ერთ ბელტსაც ვერ აბრუნებდნენ. მაგრამ თვით მოულოდნელმა გამარჯვებამ დახვია თავბრუ მოკავშირეთ და ყველამ მეტი ნადავლი მოინდომა, ვიდრე პირობით ერგებოდა. ბულგარეთს, როგორც უძლიერესს მებრძოლს ოსმალეთთან ომში, საღერღელი აეშალა გეგემონიისა და უკმეხად იჩემებდა პირველობას ბალკანეთის ახალ კონცერტში; სერბია ტერიტორიის გაფართოებას შეეცადა ნამეტნავად და თავის წადილში თვით ოსმალებს გადააჭარბა სისასტიკით, სდევნიდა ყველაფერს, რასაც სერბიელი ხასიათი არა ჰქონდა და „ძმათა განთავისუფლება“ ძმათა დაჩაგვრად იქცა; ბერძნებმა ხომ სხვებზედ მეტად სხვისი ხელით ნარი გლიჯეს. ყველა ამ შეხეთქებამ იქამდის მიაღწია, რომ ბულგარეთი, როგორც უფრო ძლიერი მეტოქე ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ, განმარტოებული დარჩა და ახლა მას გამოუცხადეს სასტიკი ბრძოლა დანარჩენ მოკავშირეთ, რომელთაც მიემხრო რუმიანიაც. ოსმალეთთან ბრძოლაში ქანც გამოლეული ბულგარეთი, რომელიც უკანასკნელ დროს მარტოდ-მარტო ებრძოდა მტერსა, ველარ დახვდა მედგრად დასვენებულს და უფრო მომზადებულს მტერსა და ყველა მხარეს სასტიკად დამარცხება-დამარხებაზედ განიცადა. სერბია, საბერძნეთი, რუმინია, ყველა იმასა სცდილობს შეასუსტოს ბულგარეთი და მის ძალას დაუპირდაპიროს სხვა რამ ძალაც მახლობელ აღმოსავლეთზედ. მაგრამ ყველაზედ საინტერესო ის არის ამ ზედახროვაში, რომ დამსხვრეული ოსმალეთიც კი ფხას იჩენს და, როგორც გაზეთები იუწყებიან, არა მარტო ისწორებს საზღვრებს, არამედ ადრიანოპოლიც დაიბრუნა. ის ადრიანოპოლი, რომლის კედლებმა დიდი ხნის და მედგარი ალყა განიცადეს, ვიდრე დანებდებოდნენ მტერსა, ის ადრიანოპოლი, რომელიც თითქმის ერთად ერთი ადგილი იყო, რომელსაც მთელი ოსმალეთი მართლაც გულის ტკივილით ჰკარგავდა.

დამარცხებული ოსმალეთი, რასაკვირველია, ველარ მოიდგამს სულს იმდენად, რომ ყველაფერი დაიბრუნოს ან გამაგრდეს მაინც ღონივრად ევროპის მხარეს, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გუშინდელი პოლიტიკური მტრები, ერთმანეთის ყელის მღადვრელნი, დღეს ერთად მოქმედებენ იმ ბულგარეთის წინააღმდეგ, რომელიც ვითომ სლავიანთა ოჯახის უფროს ძმობას ეწეოდა. სწორედ ისე, როგორც დიდი სახელმწიფონი ძმობისა და სიყვარულის სიტყვებს მარტო იმიტომ ხმარობენ, რომ უკეთ დაწვერონ ხიშტები და ყუმბარები დაამზადონ, ისე პატარანი იფარავდნენ თავს ძმობასა და თავისუფლებით, რომ საკუთარი პოლიტიკური სიძლიერე შეეძინათ. რასაკვირველია, ბულგარია მათში ყველაზედ მეტ პოლიტიკურ მოთხოვნილებათ წარადგენდა. პოლიტიკურ ქიშპობაში ძმობა და სიყვარული პირბადეთაც კი აღარავის ადგება და „ძმობის“ დამცველები დღეს საკუთარ ძმებს უარესი სიფიცხით ღადრავენ ყელსა, ვიდრე „მტარვალ“ ოსმალებს. და ამ „ძმათა“ სისხლის ღვრაში ძალიან მეგობრულად იშველიებენ გუშინდელ მოსისხლეს.

რუმინიას დიდი ხანია უნდოდა ამ ბრძოლაში შეეყო ცხვირი, რომ თავისათვის რამე გემრიელი ლუკმა გამოენახა და ახლა, როცა მოკავშირენი შეიბნენ გაფიცხებულ ომში, საბაბიც იპოვა: „წონასწორობა ბალკანეთზედ“ და ბულგარეთს აციცქნის სანაპიროებს.

უეჭველია, ბულგარეთი იძულებული იქნება დაუთმოს ყველგან გამარჯვებულ მტერს და თავის ქერქში დაეტიოს, თუ არა სურს დაბადების უმალვე ის დღე დაადგეს, რაც ოსმალეთს. კიდეც დაუთმობს „ძმებსა“, მაგრამ ჯერ არავინ იცის კიდევ სად ამოჰყოფს თავსა ბელონის მახვილი—ერთხელ აშვებული საომარი ჟინი ჯერ მალე არ დასცხრება და კვლავ გაისმის ხმები ავსტრიის და რუსეთის მობილიზაციაზედ, კვლავ იღვიძებენ ინტერნაციონალურ შეტაკების აჩრდილები.

მეომარი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.